გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 13

ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №16 1თებერვალი 2019 წელი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის, „ს[1]" პუნქტის საფუძველზე - მონეტარული ზღვრების დაცვით, დაფინანსების წყარო – ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი (საკუთარი სახსრები).

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ სსიპ "საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ერისიონი" (ს/კ203827485) – წარმომადგენელი – სამხატვრო ხელმძღვანელი შერმანდი ჭკუასელი, (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ №16, ტელეფონი: (832) 299-79-49; E-mail: erisionigt@gmail.com და მეორეს მხრივ, შპს „მილენიუმ აუდიტ კოლსალტინგი" (ს/კ404861869), – წარმომადგენელი – დირექტორი თამაზ აბულაძე იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი ნუციბიძის ქ N10 (შემდგომში ,,მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს - შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: CPV - **79212000-,,აუდიტორული მომსახურება" ,კერძოდ :** ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებელი ვალდებულია 2019 წლის 14 თებერვლის ჩათვლით განახორციელოს შემსყიდველის 2018 წლის წლიური ბალანსის (ფინანსური ანგარიშგების) აუდიტორული შემოწმება, რაც უნდა შესრულდეს შემსყიდველის ადმინისტრაციულ ორგანოში ქ.თბილისი რუსთაველის გამზირი #16–ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3000 ლარს (სამიათასი ლარი).

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის და/ან კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება–ჩაბარების აქტის ან/და ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის ან/და სხვა დოკუმენტის) უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის ან/და ელექტრონულად გამოწერის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებელს გადასცეს აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტი, აუდიტორის მოთხოვნისთანავე აუდიტის საგანთან დაკავშირებით მისცეს ახსნა-განმარტება (ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით), აუდიტორს შეუქმნან აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო პირობები ;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ოპერატიულად აღმოფხვრან აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებები;

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია აუდიტთან დაკავშირებით - აუდიტის საგანზე მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ახსნა - განმარტებები , ყველა საჭირო დოკუმენტები და იმფორმაცია;

ბ) მიმწოდებელი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები ;

გ) მიმწოდებელი უფლებამოსილია დამკვეთს მოთხოვოს გაწეული მომსახურეობის საფასურის გადახდა იმ ოდენობითა და იმ პერიოდულობით ,როგორც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების შესაბამისი მუხლებით;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა)მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას მომსახურების გაწევის პროცესში მიღებული დამკვეთის კომფიდენციალური ინფორმაცია და არ დაუშვას ამ ინფორმაციის მესამე პირისათვის გადაცემა;

ბ)მიმწოდებელი ვალდებულია აუდიტის პროცესში დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა , საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტები,აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები და შესაბამისი ნორმატიული აქტები;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: – სამხატვრო ხელმძღვანელი შერმანდი ჭკუასელი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 თუ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

10.2 თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02%.

10.3 მიმწოდებელმა პირგასამტეხლო უნდა გადაიხადოს შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ შესაბამისი დოკუმენტის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

10.4 მხარეები უფლებამოსლები არიან, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად გამოწვეული ზიანი მოითხოვონ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებითი განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხიასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებით ვადის განსაზღვრას უთანაბრდება, გაფრთხილება.

10.6 ორგანიზაციის წლიური ბალანსის (ბუღალტრულ და საფინანსო ანგარიშგების) სწორედ შედგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას (ორგანიზაციის ხელმძღვანელს).

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 17 მარტამდე ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადებში სრულ შესრულებამდე.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ "საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ერისიონი" (ს/კ203827485)	შპს „მილენიუმ აუდიტ კოლსალტინგი" (ს/კ 404861869)
საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში მიმღები ბანკი/ხაზინა-სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ხაზინის კოდი: 708137167; მიმღების ანგარიში: GE24NB0330100200165022	საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში: № GE80TB 7985 1360 2010 0004
სამხატვრო ხელმძღვანელი შერმანდი ჭკუასელი	წარმომადგენელი-დირექტორი თამაზ აბულაძე
ხელმოწერა:	ხელმოწერა:

LEPL GEORGIAN STATE NATIONAL SINGING AND DANCING ACADEMIC ENSAMBLE ERISIONI

Подписано цифровой подписью: LEPL GEORGIAN STATE NATIONAL SINGING AND DANCING ACADEMIC ENSAMBLE ERISIONI
Дата: 2019.02.01 15:18:23 +04'00'

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

წერილობითი დადასტურება

ქ. თბილისი 1 თებერვარი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „ე“, მე-4 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ "საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი შერმანდი ჭკუასელი ვადასტურებ, რომ სსიპ "საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ერისიონის“ მიერ დადებული 2019 წლის 1 თებერვლის №13 ხელშეკრულებით შერჩეულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

შერმანდი ჭკუასელი ----------

შენიშვნა: პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები, კერძოდ: მუხლი 19. ურთიერთდამოკიდებული პირები

1. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

2. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;

დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;

ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;

თ) პირები ნათესავები არიან;

ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.

სსიპ

სსიპ

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

საჯარო სექტორის აუდიტორის

სერტიფიკატი

ეს სერტიფიკატი ადასტურებს, რომ

მარინა აბულაძემ

პირადი N 01024013395

წარმატებით გაიარა სერტიფიცირება და მოიპოვა საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლება

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის
დირექტორი

დავით აზმაიფარაშვილი

სერტიფიკატის N 0065
სერტიფიკატის გაცემის თარიღი: 21.06.2014
მოქმედების ვადა: 21.06.2019